განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 17 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 18 აპრილი

თბილისი, 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბერი N76 გადაწყვეტილება

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, სადაზღვევო კომპანია იმედი ლ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდებოდა 2012 წლიდან. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 მაისის სხდომის ოქმის (MES 1 20 00402716 N02) გადაწყვეტილების საფუძველზე-აკრედიტაციაზე უარის თქმის გამო პროგრამა ამჟამად ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N01-05-04/205 დადგენილებით განხორციელდა პროგრამის მოდიფიცირება, რომლის შედეგად: პროგრამის მიზანი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებასთან. დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და დასაქმების სფერო, რომელიც უფრო ნათლად ასახავს, თუ რაცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და სად შეძლებენ დასაქმებას პროგრამის დასრულების შემდგომ; მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა დარგის სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციები და წინადადებები.

სტუ-საკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N 01-05-04/205 დადგენილებით პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ პროფესორები მერაბ მიქელაშვილი და ნინო ქავთარაძე.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები. შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, მოდიფიცირებამდე პროგრამა მოიცავდა სასწავლო (90 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტებს (30 კრედიტი).

სასწავლო კომპონენტში ძირითადი სასწავლო კურსები შეადგენდა 52 კრედიტს, არჩევითი სასწავლო კურსები 8 კრედიტს. ასევე პროგრამაში ინტეგრირებული იყო 6 კონცენტრაცია, რომლიდანაც სტუდენტი ერთ-ერთს ირჩევდა: კონცენტრაცია 1 - მენეჯმენტი (30 კრედიტი), კონცენტრაცია 2 - მარკეტინგი (30 კრედიტი), კონცენტრაცია 3 - აუდიტი (30 კრედიტი), კონცენტრაცია 4 -მცირე ბიზნესის მართვა (30 კრედიტი), კონცენტრაცია 5 - ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი (30 კრედიტი), კონცენტრაცია 6 - ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი (30 კრედიტი).

მოდიფიცირების შემდეგ პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ოთხი სემესტრია (2 აკადემიური წელი); სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მოიცავს 120 კრედიტს (ECTS) და გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სასწავლო (90 კრედიტი) და კვლევით კომპონენტებს (30 კრედიტი). კონცენტრაციები გაუქმდა, ხოლო არჩევით საგნებს დაეთმო 15 კრედიტი. შედეგად პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

- ძირითადი სასწავლო კომპონენტი-75 კრედიტი
- არჩევითი საგნები - 15 კრედიტი
- კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები: „მენეჯერული ეკონომიკა", „მეწარმეობა და საწარმო", „კრეატიული მენეჯმენტი", „რეკლამა და პრომოცია", „ბიზნესის მოდელირება", „ციფრული ბიზნესის მარკეტინგი", „დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა"(ინგლისური ენა). რიგ სასწავლო კურსებში შეიცვალა კრედიტების მოცულობა; ნაწილ სასწავლო კურსებს მიენიჭა სავალდებულო ხოლო პირიქით ნაწილს არჩევითი სატატუსი; ასევე რიგი სასწავლო კურსები ამოღებული იქნა პროგრამიდან.

ასევე შეიცვალა და დაკორექტირდა სასწავლო კურსების სახელწოდება, სასწავლო კურსების ავტორები, სასწავლო კურსების მიზანი და შედეგები შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებასთან, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (სილაბუსის თემატიკა მოვიდა შესაბამისობაში აღნიშნულ ლიტერატურასთან), კრედიტები (შეიცვალა საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (სთ.), სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) დაშვების წინაპირობები.

სწავლების ოთხი სემესტრიდან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. ასევე უნდა ჩააბაროს სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა- „ბიზნესის ადმინისტრირება" და „ინგლისური ენა - დონე B2". ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან.

პროგრამის სწავლების ენა არის ქართული.

პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას.

სამაგისტრო პროგრამაზე წლიურად ირიცხება საშუალოდ 70 სტუდენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 მარტს დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით.
ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.
ექსპერტთა ჯგუფის წინასააკრედიტაციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 16 მარტს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტები ჯგუფის წევრებს შორის. ექსპერტთა მიერ გაიწერა ის ძირითადი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა დაინტერსებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში.
17 მარტს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით და შესაბამისია სტანდარტებთან. ხოლო თითოეულ ქვესტანდარტთან შესაბამისობა შემდეგნაირია:

- პირველი სტადარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 1.1 და 1.2 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 2.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია და 2.1, 2.2, 2.4, 2.5, 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 3.1 და 3.2 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია და 4.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

➢ რეკომენდირებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი რათა შესაბამისობაში იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი;

➢ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მუდმივად ზრუნავს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხის განვითარებაზე, როგორც გაფორმების, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს ბოლო პერიოდის დაცული სამაგისტრო ნაშრომების შესრულების დონე. მიუხედავად ამისა, სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, უნივერსიტეტი, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას ვიზიარებთ სასარგებლო რჩევის სტატუსით.

➢ **ექსპერტთა პოზიცია:** სამაგისტრო დონეზე ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს ხარისხის მოსაპოვებლად, თუმცა ნაშრომების შემოწმების საფუძლზე დგინდება რომ კვლევითი კომპონენტი სუსტად არის წარმოდგენილი. ამას გარდა შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურა ნაკლებად არის შესაბამისობაში მაგისტრის აკადემიური ხარისიხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან; შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებების გაძლიერება და მეტი ყურადღების დათმობა ინსტიტუციის მხრიდან.

➢ რეკომენდირებულია ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა, და გამოყენების წახალისება;

➢ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** მოგახსენებთ, რომ ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა მუდმივად ხორციელდება ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებს სამუშაო შეხვედრებს ამ მიმართულებით. ასევე, უნივერსიტეტი პერმანენტულად აფინანსებს ამ მიმართულებით ტრენინგებს. მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ „ასოციაცია მეცნირებისათვის" მიერ 2022 წლის თებერვალში ჩატარებული ბოლო ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიები მეცნიერებაში", რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ელექტრონული საინფორმაციო მონაცემთა ბაზები; ელექტრონული სამეცნიერო პუბლიკაციების რაობა და სახეები; მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ძიების მეთოდები; სამეცნიერო იდენტიფიკატორების სახეები: ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი (DOI); გამოყენებული ლიტერატურის გაფორმების ელექტრონული მეთოდები (ბიბლიოგრაფიული მენეჯერები); ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზების რაობა და სახეები, ციტირების ინდექსის დათვლისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფები; ციტირების ინდექსისა და საერთაშორისო სივრცეში მკვლევარის ცნობადობის გაუმჯობესების მეთოდები და საშუალებები; მკვლევარის სამეცნიერო პროფილის (ავტორის იდენტიფიკატორი) სახეები და შექმნა; სამეცნიერო ნაშრომის საქართველოს ან საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის საჭირო გზები და საშუალებები (აღნიშნული ტრენინგის სერტიფიკატები თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას).

➢ **ექსპერტთა პოზიცია:** სამაგისტრო დონეზე სტუდენტებს ევალებათ კვლევითი კომპონენტის განხორციელება, შესაბამისად მნიშვნელოვანია ისინი ინფორმირებულნი იყონ და აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა ელ-ბაზებს მაღალი ხარისხი ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუმცა სტუდენტებთან იტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმიერებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ და ნაკლებად იყენებენ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს; შესაბამისად მნიშველოვანია ინსტიტუციამ ამ მიმართულებით გააძლიეროს მუშაობა.

- **ამოღებული რეკომენდაციები**

➢ რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების(გაცნობა, გაღემავება, გამტკიცება) გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;

➢ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია:** ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურისათვის გათვალისწინებული კვალიფიკაციის დონეს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად გათვალისწინებულია კონკრეტული დონის კომპეტენციის დადასტურება სპეციალობის გამოცდის შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ გამოთქმული რეკომენდაცია განხილულ იქნა აკადამიური და მოწვეული პერსონალის მიერ და გათვალისწინებულია ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის სხდომაზე, რის შედეგადაც მოხდა კურსების გადახედვა და კურსის შინაარსის

შესაბამისობაში მოყვანა სამდონიანი დიფერენციაციით - „გაცნობა - (1)“, „გაღრმავება - (2)“ და „განმტკიცება - (3)“ (კურიკულუმის რუქის დანართი და ბიზნესის ადმინისტრირების სხდომის ოქმი თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას).

➢ **ექსპერტთა პოზიცია:** ახალი რეკომენდაციით წარმოდგენილ სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეები(გაცნობა, გაღემავება, გამტკიცება) შესაბამისია კურსების შინაარსთან და რეალისტურად ასახავს შედეგების მიღწევის დონეებს; შესაბამისად აღარ არის აღნიშნული რეკომენდაციის საჭიროება;

➢ რეკომენდირებულია სასწავლო კურსის, “კვლევის მეთოდები ბიზნესში” გაუმჯობესება;

➢ **უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზოცია:** მოგახსენებთ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ სხდომაზე ასევე განიხილეს სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ და მოხდა კურსში აღწერილი თემატიკის გადახედვა - გაუმჯობესება შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობით. მოდიფიცირებული სილაბუსი და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს ოქმის ამონაწერი თან ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას.

➢ **ექსპერტთა პოზიცია:** ახალი რეკომენდაციით წარმოდგენილ სასწავლო კურსში, “კვლევის მეთოდები ბიზნესში”, გათვალისწინებულია აკრედიტაციის ექსპერტების მოსაზრებები; შესაბამისად აღარ არის აღნიშნული რეკომენდაციის საჭიროება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

❖ სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ;

❖ სასურველია პროგრამის შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულთა ჩართულობის მეტად გაძლიერება;

❖ სასურველია, “მეწარმეობა და საწარმო”, “ციფრული მარკეტინგი” სასწავლო კურსების სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის გაუმჯობესება;

❖ სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკის გავლის ზედამხედველობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა მისაღწევად;

❖ სასურველია უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდები კულტურული ან სხვა საჭიროებების გათვალისწინებით;

❖ სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის მეთოდების უფრო მეტად დავხეწა და შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან თავსებადობის უზრუნველყოფა;

❖ სასურველია შეფასების რუბრიკების ქულებს (მაგ: 15, 12, 9, 6, 3) შორის შუალედების მითითების უზრუნველყოფა შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობისთვის;

❖ სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მისიის ლოგიკური გაგრძელებაა (https://gtu.ge/AboutStu/Mission.php). სრულიად ითვალისწინებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ფასეულობების. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის მიზნები დარგის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული. გაწერილია თუ რა ცოდნას, უნიარებს და კომპეტენციებს გადასცემს პროგრამის კურსდამთავრებულის. როგორც თვითშეფასების ანგარიშიდა სჩანს პროგრამას აქვს ორი მიიზანი: 1. შეასწავლოს სტუდენტს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ორგანიზაციების ფუნქციონირების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის და მუშაობის მრავავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული საკითხები; 2. აჭურვოს სტუდენტი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, კონკურენტუნარიანი იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრაქტიკული, სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით. სამაგისტრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე თვალსაჩინო ხდება, რომ აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი კვალიფიკაციის მინიჭებაზე, რაც განპირობებულია 2020 წლის აკრედიტაციის ეკსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისრინებული იქნა, როგორც „საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2020“ ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან ჩატარებული დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებლების მხრიდან მიცემული რეკომენდაციები (რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს). ინტერვიუების შედეგედ დადგინდა

რომ ფაკულტეტის მხრიდან განხორციელდა პროგრამის ე.წ ბენჩმარკინგი. რის შედეგადაც პროგრამა შედარდა როგორც საქართველოს ასევე, სახზღვარგარეთის წამყვანი უნიერსიტეტების მსგავს პროგრამებს. სტუდენტებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ სამეცნიერო აქტივობებში, იქნება ეს სტუდენტური კონფერენცია თუ ხელმძღვანელთან ერთად კვლევით პროექტში მონაწილეობა. ასევე, ფაკულტეტი სთავაზობთ მათ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობებს. ხსენებულიან გამომდინარე, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, როგორც ადგილობრივ ასევე, საერთაშორისო დონეზე. საჯაროობის კუთხით, ვიზიტის ფარგლებში, დადგინდა რომ პროგრამა ხელმისაწვდომი იყო ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. თუმცა, ვიზიტის დასრულების შემდეგ ექპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაკულტეტის ვებ-გვედი და აღმოჩნდა რომ მასზე პროგრამის ძველი ვიერსიაა ატვირთული (იხ. ბმული - https://gtu.ge/bef/pdf/Edu-Programs/Programebi_2021_01.09.21/Magistratura_01.09.21/magistraturis%20qartulenovani%20%20programa%20biznesis%20administrireba.pdf). შესბამისად სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია; ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ; http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf ● შრომის ბაზრის კვლევა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან; ● ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ● ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; ● ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვეგვერდი https://gtu.ge/bef/
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

❖ სასურველია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ცხრა სწავლის შედეგის მიღწევას:

1. ფლობს ციფრულ ეპოქაში ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომებს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათი რეალიზაციის სოციალური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შედეგების შეფასების ღრმა და სისტემური ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და შესაძლებლობებს, საკუთარი

თვალსაზრისის არგუმენტირებულად დაცვის და ბიზნესის მართვის ფუნქციების რეალიზაციის სპეციფიკას;

2. ორგანიზაციის ეფექტიანად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს, საწარმოს მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურას;

3. შეუძლია ბიზნეს-პროცესების მართვის მეცნიერული ანალიზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ბიზნეს-პროცესების მოდელირების ფორმების შერჩევა;

4. სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველზე ბიზნესის მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნით ახდენს არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების დაგეგმვას, როგორც ლოკალური ასევე, საერთაშორისო მასშტაბით;

5. ახორციელებს ორგანიზაციის განსხვავებული ბიზნესმოდელებისთვის დამახასიათებელი ნიშნების (მათ შორის სტრატეგიული მენეჯმენტის, კორპორაციული ფინანსების, მარკეტინგის მენეჯმენტის, საგადასახადო პოლიტიკის და ა.შ.) სისტემატიზაციას, სხვადასხვა ნიშან-თვისებებით ინტეგრირება-შეფასებას, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავებასა და შესაძლო შედეგების პროგნოზირებას;

6. საკუთარი ინტელექტუალური და კულტურული უნარების გამოყენების საფუძველზე ავლენს პროფესიული განვითარების, თვითგანვითარების, თვითრეალიზაციისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მზადყოფნის, ასევე პროფესიული კარიერის დაგეგმვის უნარს;

7. ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკული შეფასების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების საფუძველზე ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრეზენტაციებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;

8. ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკული შეფასების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების საფუძველზე ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრეზენტაციებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;

9. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

ზემოხსენებული სწავლის შედეგებიდან ჩანს თუ რა ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას შეიძენს სტუდენტი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები სრულიად შეესაბამება მის მიზნებს, საფეხურს და ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებულ მე-7 დონეს.

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური რაც მხარდაჭერილია შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში გაწერილი პროცედურებითა და ინსტრუმენტებით. პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა ნათლად არის წარმოდგენილი პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილი შედეგების რუკაზე. ასევე, წარმოდგენილია სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შესაბამისობის(კურიკულუმის)რუკა, რომელშიც გაწერილია თუ რომელი საგანი რა შედეგსა და დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) გადის.

თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად არის 76% ხოლო, კურსდამთავრებულთა 15%-მა სწავლა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე გააგრძელა. აგრეთვე, კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ მათ პროფესიით დასაქმებასთან პრობლემები არ ჰქონიათ (ერთ კურსდამთავრებულს საკუთარი კომპანია აქვს).

პროგრამის დანართებში წარმოდგენილია დასაქმების ბაზრის კვლევა. ასევე, დამსაქმებლებთან ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ პროგრამის განვითარების პროცესში და აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდნენ. კარგად იცნობდნენ პროგრამის მიზნებს და შედეგებს. ასევე, აღნიშნეს რომ უნივერსიტეტის მხრიდან მათ მიერ გაცემული ბევრი რეკომენდაცი გათვალისწინებული იყო.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტიმა უზრუნველყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. აკადემიური და მოწვეულ პესრონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში. ასევე მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ პროგრამის შედეგებს და მათ ფორმირებაში მონაწილეობდნენ.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება რეგულარულად, პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამას თითოეული სწავლის შედეგის შესაბამისად შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი რომ

თითიეულ სწავლის შედეგს აქვს მაღალი სამიზნე ნიშნული (85-95%), რაც ბადებს ეჭვს მათი რეალისტურების შესახებ. თუმცა, ფაკულტეტის წარმომადგენლების მიერ ხსენებული საკითხი განიმარტა და დასაბუთდა. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● შრომის ბაზრის კვლევა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; ● პროგრამის კურიკულუმის რუკა; ● ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ● ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ➢ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	●			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე უნდა ჩააბაროს სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა- „ბიზნესის ადმინისტრირება“ და „ინგლისური ენა - დონე B2“. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების

საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. დამატებითი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე ისე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, განათლების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობით, სკოლებსა და რესურს-ცენტრებში ინფორმაციის გავრცელებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რაც ემსახურება აუცილებელი ცოდნის და უნარების ჩამოყალიბებას. წინაპირობა ლოგიკურად დაკავშირებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://gtu.ge/
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 120 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. მათ შორის:

- სასწავლო კომპონენტია 90 ECTS:
  - სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 ECTS,
  - არჩევითი სასწავლო კურსები 15- ECTS.
- კვლევითი კომპონენტი - 30 ECTS.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებების მარკეტინგის, ფინანსებისა და მენეჯმენტის სასწავლო კურსებით.

მარკეტინგის სფეროს შემდეგი საგნებით არის წარმოდგენილი: მარკეტინგის მენეჯმენტი, კრეატიული მენეჯმენტი, რეკლამა და პრომოცია; მენეჯმენტის სფერო წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსებით: მენეჯერული ეკონომიკა, მეწარმეობა და საწარმო, ინოვაციური მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; ხოლო ფინანსების სფერო წარმოდგენილია შემდეგი საგნებით: მმართველობითი (შიდა) აუდიტი და კორპორაციული ფინანსები.

პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური, მოწვეული პერსონალი დამსაქმებლები, რომელთანაც პერიოდულად ტარდებოდა შეხვედრები პროგრამის გაუმჯობესება დახვეწასთან დაკავშირებით მოსაზრებების გაზიარების მიზნით. თუმცა გასაუბრებიდან დგინდება, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულები სუსტად არიან წარმოდგენილნი და საჭიროებს მათი ჩართულობის გაძლიერება.

პროგრამის შინაარსის ანალიზიდან ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. პროგრამის სასწავლო კურსების შესწავლისას გამოვლინდა, რომ მრავალ სასწავლო კურსის სილაბუსის გამოყენებულ ლიტერატურაში ვხდებით დაცულ სადოქტორო დისერტაციებს. რაც მიუთითებს იმ ფაქტს, რომ აკადემიური პერსონალი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცდილობს მოახდინოს კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლის პროცესში სფეროს თანამედროვე მირწევების გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და გამჭირველე და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი);
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;
- ვებ-გვერდი - http://gtu.ge/

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

❖ სასურველია პროგრამის შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულთა ჩართულობის მეტად გაძლიერება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსის შინაარსი დაფუძნებულია ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაზე, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგებზე, შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს. ამას გარდა სილაბუსში ძირითად ლიტერატურის სახით იყენებენ დისერტაციებს, რაც მიუთითებს იმ ფაქტს რომ აქტიურად ხდება სამეცნიერო კვლევების შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში და შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

თუმცა, “მეწარმეობა და საწარმო”, “ციფრული მარკეტინგი” სასწავლო კურსების სილაბუსის ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაში ვხდებით ლიტერატურას, რომელიც არ წარმოადგენს აკადემიურ სახელმძღვანელოს; შესაბამისად სასურველია “მეწარმეობა და საწარმო”, “ციფრული მარკეტინგი” სასწავლო კურსების სილაბუსის ძირითადი ლიტერატურის გაუმჯობესება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო ნაშრომი არის კვლევითი კომპონნეტი, რომელიც ემსახურება მაგისტრანტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების განმტკიცებას. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების საფუძლზე დგინდება შემდეგი გარემოება- კერძოდ როგორ უკვე აღვნიშნეთ სამაგისტრო ნაშრომი არის კვლვითი კომპონენტი, ხოლო კვლევითი კომპონენტი სუსტად არის წარმოდგენილი. ამას გარდა შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურა ნაკლებად არის შესაბამისობაში მაგისტრის აკადემიური ხარისიხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან; შესაბამისად რეკომენდირებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი რათა შესაბამისობაში იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი.

სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგები ექვემდებარება შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი (სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი);
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან;
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია;

● საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ; ● ვებ-გვერდი - http://gtu.ge/
რეკომენდაციები: ➢ რეკომენდირებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი რათა შესაბამისობაში იყოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქციასთან და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია, "მეწარმეობა და საწარმო", "ციფრული მარკეტინგი" სასწავლო კურსების სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის გაუმჯობესება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში, რომელიც განისაზღვრა 6 კრედიტით. პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები 42 ორგანიზაციასთან. მემორანდუმების უმრავლეს შემთხვევაში გათვალისიწნებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის ხანგრძლივობა და პრაქტიკის მიზანი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მეოთხე სემესტრში გაიარონ პრაქტიკა და გაიღრმავონ ცოდნა და უნარები.

საწარმოო პრაქტიკის გავლის დეტალები მოცემულია სილაბუსში, "საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში". აღნიშნული კომპონენტის მიზანია, "მაგისტრანტების მიერ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და განმტკიცება რეალურ საქმიან გარემოში, ცოდნის რეალიზაცია და გამოყენება, რაც ხელს უწყობს მაგისტრანტების პროფესიონალური საქმიანობის დაუფლების უწყვეტობისა და თანამიმდევრულობის უზრუნველყოფას". სასწავლო პრაქტიკის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პრაქტიკის ხანგრძლივობა არის 15 კვირა. ფაკულტეტის და შემსრულებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე სემესტრის განმავლობაში, პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტი კვირაში გაატარებს 2 საათს. პრაქტიკის ჩატარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ხელმძღვანელს. პრაქტიკის ხელმძღვანელი ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტის და პრაქტიკის გავლის შესახებ. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების ოპერატიული მხარდაჭერისა და კონტროლის მიზნით პრაქტიკის ობიექტის მიერ ინიშნება ხელმძღვანელი ობიექტის პერსონალიდან, რომელიც ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას პრაქტიკის სილაბუსის და გაფორმებული ხელშეკრულების/მემორანდუმის შესაბამისად. პრაქტიკის ობიექტზე დანიშნული ხელმძღვანელი სტუდენტებს უტარებს ინსტრუქტაჟს და ეხმარება საჭირო ინფორმაციის მოძიებაში.

პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიურად ჩატარებული აქტივობების შესახებ ჩანაწერები (ხელით) პრაქტიკის დღიურში, აღწეროს შესრულებული სამუშაოები და ის სიახლეები, რომლებსაც გაეცნო პრაქტიკის მიმდინარეობისას, ჩაინიშნოს საჭირო მონაცემები, დააფიქსიროს მიღწეული შედეგები; პრაქტიკის დღიურები სრულდება სილაბუსში მოცემული დანართი 1-ს და დანართი 2-ს ფორმით.

პრაქტიკის დამთავრებისას დღიური და ანგარიში წარედგინება პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელს, ხოლო მის მიერ ხელმოწერის შემდეგ სტუდენტმა ის უნდა ჩააბაროს პრაქტიკის ხელმძღვანელს; ანგარიშის გასაფორმებლად სტუდენტს პრაქტიკის ბოლოს გამოეყოფა ორი ან სამი დღე. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს ხელმძღვანელის წინაშე. სილაბუსში ასევე გაწერიალი პრაქტიკის შინაარსი 15 კვირის მიხედვით. ამ შინაარსის გათვალისწინებით სტუდენტები აგროვებენ ინფორმაციას და ამაზადებენ ანგარიშს, რომლის პრეზენტაციას აკეთებენ სემესტრის ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი საწარმოო პრაქტიკის გავლის პროცესი. სტუდენტებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში ვერ იღებენ პროგრამით გათვალისწინებულ უნარებს. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ სასურველია გაძლიერდეს ამ მხრივ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში იყენებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლების მეთოდებს. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები პერიოდულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველ წლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● სასწავლო კურსების სილაბუსები; ● ორგანიზაციებთან გაფორმებულიხელშეკრულებები/მემორანდუმები; ● საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციების თეზისების კრებულები http://gtu.ge/Science/Conference/ ● ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ➢ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

❖ სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკის გავლის ზედამხედველობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა მისაღწევად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში ვკითხულობთ, რომ პროგრამის ფარგლებში ცალკეული სასწავლო კურსის შეთავაზებისას პედაგოგები იყენებენ შემდეგი სწავლის მეთოდების კომბინაციას: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება, კონკრეტული სიტუაციებით სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრაციის მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება,

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ასწავლიან პროგრამულ უზრუნველყოფას, მაგალითად სასწავლო კურსის "კვლევის მეთოდები ბიზნესში" ისწავლება პროგრამული უზრუნველყოფა SPSS. ანალიზიდან ირკვევა, რომ სწავლება-სწავლის მეთოდები არის მრავალფეროვანი, რომელსაც იყენებენ აკადემიურ პროცესში. სწავლა-სწავლების მეთოდების კომბინაციის შერჩევისას ითვალისწინებენ, როგორც სასწავლო კურსის სპეციფიკას, ასევე ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამას არ ჰყავს უცხოელი სტუდენტები და შესაბამისად უცხოეული სტუდენტების კულტურული ან სხვა საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმი ბუნდოვანია სწავლება-სწავლის მეთოდების ჩამოყალიბებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● სასწავლო კურსის სილაბუსები; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული სწავლება-სწავლის მეთოდები კულტურული ან სხვა საჭიროებების გათვალისწინებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სასწავლო კურსის დაწყებამდე, სტუდენტს საშუალება აქვს წინასწარ გაეცნოს სილაბუსს, ხოლო პირველ ლექციაზე ლექტორის მიერ ხდება სილაბუსის სასწავლო მასალის და შეფასების კრიტერიუმების დეტალური გაცნობა; შესაბამისად სტუდენტს თავიდანვე აქვს ინფორმაცია თუ რა ცოდნას და კომპეტენციებს აფასებს ლექტორი.

სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ. სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული დაადასტურეს გასაუბრებაზე მყოფმა სტუდენტებმაც და ლექტორებმაც, ასევე ეს საკითხი ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კურსდამთავრებულებთან; ისინი თვლიან, რომ საკმაოდ ობიექტურად ხდება სტუდენტის შეფასება. მათ არასდროს ქონიათ პრობლემა და არ დაჭირვებიათ ნიშნის გასაჩივრება, თუმცა უნივერსიტეტს აქვს ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი, რომლის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულნი არიან. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას

(მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, სამაგისტრო ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველყოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

ძირითად სილაბუსებში შეფასების მეთოდები თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან. თითოეული სილაბუსის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ისე არის გაწერილი, რომ მაქსიმალურად მორგებულია უშუალოდ სასწავლო კურს, შესაბამისად სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა ადექვატურად ფასდება. თუმცა სასურველია აღნიშნული საკითხის კიდევ უფრო დავხეწა და შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან თავსებადობის უზრუნველყოფა; ასევე სასურველია შეფასების რუბრიკების ქულებს(მაგ: 15, 12, 9, 6, 3) შორის შუალედების მითითების უზრუნველყოფა შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობისთვის.

აღსანიშავია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ცოდნის მაღალი დონე და მათი გამოცდილება, ასევე თითოეული მათგანი საკმაოდ კარგად იცნობს პროგრამას, გასაუბრებისას ექსპერტებს გვქონდა საშუალება უშუალოდ მოგვესმინა ლექტორებისაგან სილაბუსების შედგენის სპეციპიკა. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ლექტორი დამოუკიდებლად ადგენს სილაბუსს კურსის სპეციფიკიდან გამოდინარე, ეს აღნიშნა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას ასევე ლექტორებთან ინტერევიუს დროსაც ეს საკითხი დადასტურდა.

ბოლოს სემესტრში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები წარადგენენ სამაგისტრო ნაშრომს. უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, რომელიც გაწერილია დოკუმენტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია. ასევე მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი სადაც განხილულია ყველა ის პროცედურა თუ როგორ ფასდება ნაშრომი, რა კრიტერიუმებით და როგორ ხდება უშუალოდ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასება.

ვინაიდან უნივერსიტეტს აქვს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მეთოდები, უმჯობესი იქნება, ყველა ნაშრომი ტექნიკურად გამართული იყოს სამაგისტრო ნაშრომის წესის მიხედვით, განსაკუთრებით, ლიტერატურის ციტირების საკითხები.

ყველა სამაგისტრო თემა მოწმდება პლაგიატზე. ექსპერტებს გვქონდა საშუალება ნიმუშად გვენახა პლაგიატზე შემოწმებული ნაშრომების ანგარიშები. ასევე აღნიშნული დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

ფაკულტეტზე ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა;
- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის მეთოდების უფრო მეტად დავხეწა და შედეგებთან და შეფასების მეთოდებთან თავსებადობის უზრუნველყოფა;
- სასურველია შეფასების რუბრიკების ქულებს (მაგ: 15, 12, 9, 6, 3) შორის შუალედების მითითების უზრუნველყოფა შეფასების სისტემის მეტი გამჭვირვალეობისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	●			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს აქვს

საშუალება მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან. აღნიშნული საკითხი დაადასტურეს ინტერვიუს დროს, როგორც კურსდამთავრებულებმა, ასევე სტუდენტებმა.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პერიოდში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას, უშუალოდ ფაკულტეტს და არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც არ გადაჭრილიყო მყისიერად. მაგალითად, უნივერსიტეტში შეიქმნა კომპიუტერული ცენტრი, რისი ინიციატორებიც იყვნენ სტუდენტები.

სემესტრის ბოლოს სტუდენტები ავსებენ კმაყოფილების კითხვარს, სადაც აქვთ საშუალება შეაფასონ ლექტორი, საგანი და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სტუდენტებს დამატებითი საკონსულტაციო საათების ფარგლებში აქვთ კონსულტაციის მიღების საშუალება, აღნიშნულზე ინფორმაცია წარმოდგენილია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტში არსებობს კარიერული განვითარების ცენტრი, ექსპერტებს გვქონდა საშუალება უშუალოდ გვენახა ცენტრის ოფისიც უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების ონლაინ დათვალიერების დროს. ახალი ვაკანსიების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან. თუმცა მათ არ დაჭირვებიათ ესარგებლათ მსგავსი სერვისით, ვინაიდან უკვე მუშაობდნენ სანამ მაგისტრატურის პროგრამაზე ჩააბარებდნენ.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა კურსდამთავრებულთა კვლევის დოკუმენტი, სადაც მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე უმეტესობა კვლავ აგრძელებს სწავლას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, რომელიც ორანიზებულია ტექნიკური უნივერსიტეტისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

სტუდენტები, ხშირად იღებენ ინფორმაციას გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით; ერთ-ერთი კურსდამთავრებული მიდიოდა ერასმუსის ფარგლებში სასწავლებლად, თუმცა პანდემიის გამო ვერ მოხერხდა.

სტუდენტებს აქვთ საშუალება ისარგებლონ ონლაინ ბიბლიოთეკით, სადაც ატვირთულია წიგნები საავტორო უფლებების დაცვით, შესაბამისად ყველა წიგნი ონლაინ ვერ მიეწოდებათ, თუმცა ექსპერტებს გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით ტექნიკური

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას. უნივერსიტეტს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა აქვთ და ნებისმიერი წიგნი, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება შეუძლია სტუდენტს მოიძიოს. ასევე სტუდენტებს უტარდებათ ტრენინგები საერთაშორისო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტს აქვს სამი პლატფორმა: https://viciadmin.gtu.ge/#/login/login, https://elearning.gtu.ge/, https://studinfo.gtu.ge/.

- https://elearning.gtu.ge/ - სადაც განთავსებულია სტუ-ს აკადემიური კურსები ფაკულტეტების მიხედვით.
- https://viciadmin.gtu.ge/#/login/login-პლატფორმის საშუალებით სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს უნივერსიტეტში მისვლის გარეშე წვდომა აქვთ სხვადასხვა სერვისებზე; სტუდენტებს საშუალება აქვთ ელექტრონულად ყოველკვირეულ რეჟიმში გაეცნონ თავიანთ აკადემიურ მოსწრებას, სასწავლო ცხრილებს, მიიღონ ინფორმაცია ფინანსური დავალიანების შესახებ, აიღონ სხვადასხვა სახის ცნობები და ასევე, მოხდეს უკუკავშირი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- https://studinfo.gtu.ge/-სტუდენტისთვის არის გზამკვლევი და მასში დეტალურად განთავსებულია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც სტუდენტისათვის არის საინტერესო.

უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელიც მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:

- სტუდენტური სერვისების განყოფილება-დეპარტამენტის საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით დეპარტამენტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე დაემატა სტუდენტური სერვისების ადმინისტრატორის პოზიცია, რომელიც ფაკულტეტებზე უზრუნველყოფს სტუდენტებთან მუშაობას.
- კულტურის განყოფილება-შეიმუშავებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის კულტურის სტრატეგიას, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში არსებულ კულტურულ-თვითშემოქმედებით ჯგუფებსა და ანსამბლებს.
- სპორტის განყოფილება-შეიმუშავებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის სპორტის სტრატეგიას, კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში არსებულ სპორტულ ჯგუფებს.
- სტუდენტური ტელევიზია-მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და 2022 წელს დაგეგმილია შეიქმნას საუნივერსიტეტო სტუდენტური ტელევიზია “GTU TV”, რომლის მთავარი მიზანია საუნივერსიტეტო სივრცეში არსებული უნიკალური უპირატესობებისა და

სხვადასხვა სერვისების შესახებ მომზადდეს სატელევიზიო სიახლეებისა და გადაცემების ციკლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა; ● სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; ● კურსდამთავრებულთა კვლევა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის (ცოდნისა და უნარების) გამოყენების, არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სწავლის დამთავრების შემდგომ დასაქმების შესახებ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით; ● ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორ მასწავლებელთა კონსულტაციების გრაფიკი 2021-2022 ს/წ; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან; ● ფაკულტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/bef/.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს დებულება მაგისტრატურის შესახებ სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის შერჩევისა და ვალდებულებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

ამჟამად არსებული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია სრულებით შეესაბამება კვლევის მიმართულებას. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც.

მაგისტრანტი და თემის ხელმძღვანელი ადგენენ ინდივიდუალურ გეგმას და თემასთან დაკავშირებით შეხვერდა და კონსულტაცია ხდება, როგორც გეგმის მიხედვით ასევე საჭიროებებიდან გამომდინარე. როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, მათ საკმაოდ აქტიური ურთიერთობა აქვთ თემის ხელმძღვანელთან ისინი იღებენ კონსულტაციებს, როგორც ონლაინ შეხვედრების დროს, ასევე შეუძლიათ მიწერონ ხელმძღვანელს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. არ ფიქსირდება შემთხვევა, სტუდენტებს რომ ხელმძღვანელი შეეცვალათ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებასთან და საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით კონსულტაციებს უწევენ მეცნიერ ხელმძღვანელები. თემის სათაურს არჩევენ ან იმ საკვლევი თემების ჩამონათვლიდან, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს, ან თვითონ სტუდენტი და მეცნიერ ხელმძღვანელი აყალიბებენ სათაურს და შემდეგ გააქვთ საბჭოზე დასამტკიცებლად. მაგისტრატს აქვს შესაძლებლობა

გააკეთოს მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა, რომლის სამუშაო ვერსიაც დევს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერძე. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა; ● საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ; ● აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/133, მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა ● ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	●			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 47 აკადემიური და 5 მოწვეული პერსონალი; აქედან 47-ვე არის უნივერსიტეტთან აფილირებული პერსონალი. მათი რეზიუმეებიის შესწავლისას ირკვევა, რომ უმეტესობა მათგანს აქვს მრავალწლიანი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება,

კერძოდ, 400-ზე მეტი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში და 450-მდე კონფერენციაში აქვთ მონაწილეობა მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პეროსნალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან არის 54/140.

აკდამიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს 5-დან ბოლო 5 წელიწადში 6 შეიცვალა, რისი განმაპირობები ფაქტორიც იყო პროგრამის ძირეული გადახალისება. მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ჩანს რომ მათ აქვთ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 52/5. რაც პროგრამის მდგრადი განხორციელებისთვის სავსებით საკმარისია.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. სამაგიტრო ნაშრომების ხელმძღვანელების უმეტესობა არის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, ისინი თავიანთი პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაბამისად ხელმძღვანელობენ სამაგისტრო ნაშრომებს. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების და მათი რეზიუმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათ აქვთ პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. სტუდენტების მხრიდან არანაირი უკმაყოფოლება არ დაფიქსირებულა სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებით. ხელმძღვანელების თანაფარდობა მაგისტრანტების რაოდენობასთან არის 52/140.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია სტუდენტებთან კონსულტირების პროცესში, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავიან ლექტორებთან ერთად აწარმოონ სამეცნიერო საქმიანობა და იყვნენ ნაშრომის თანაავტორები.

პერსონალი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარების ნაწილში. ამას ისიც მოწმობს რომ ბოლო 2 წელიწადში სრულად გადახალისდა პროგრამის სტრუქტურა, განახლდა სილაბუსები და ლიტერატურა.

ვინაიდან 2020 წელს პროგრამამ ვერ მიიღო აკრედიტაცია, უსდ-ს ადმინისტრაციამ შეცვალა პროგრამის ხელმძღვანელი და ამჯამად პროგრამას ყავს 2 ხელმძღვანელი, ერთი მათგანი შედარებით ნაკლებად გამოცდილია მერე კი პირიქით და ამ კუთხით ისინი აბალანსებენ ერთმანეთს. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ორივე მათგანი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის მოდიფიცირებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

პროგრამას ემსახურება 10 ადმინისტრაციული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. სტუდენტები კმაყოფილები არიან მათი მომსახურებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის No133/ნ ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება"– http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php ● ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება, https://gtu.ge/bef/pdf/Debuleba/Debuleba_02.04.18.pdf ● სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია; ● აკადემიური პერსონალის მეცნიერული მიღწევები, http://science.gtu.ge/ ● პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; ● პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ● ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ სემესტრულად ატარებს სტუდენთა კმაყოფილების გამოკითხვას, ისინი აფასებენ ლექტორებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომელსაც ადმინისტრაცია განიხილავს და საჭიროებისამებრ ხდება პერსონალთან უკუკავშირი. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი. როგორც ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, ზოგჯერ ეზარებათ ფორმის შევსება და თავს არიდებენ ამ პროცესს.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე, უნივერსიტეტი იყენებდა კოლეგიალური დასწრების მეთოდს ლექტორების საქმიანობის შესაფასებლად. შეფასებას განიხილავდა ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ლექტორებს აძლევდა საშუალებას უნივერსიტეტში არსებულ პერსონალის განვითარების ცენტრში შესაბამისად ჩართულიყვნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში.

პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია პერსონალის განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გადამზადებას სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებში, სწავლების შედეგების განსაზღვრისა და მათი შეფასების მეთოდებში, კარიერული ზრდისა და კომუნიკაციის უნარების ამაღლების მიმართულებით. სწორედ ლექტორების შეფასების

შედეგების საფუძველზე, ცენტრი უზრუნველყოფს მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებას. უსდ ახორციელებს პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას ყოველწლიურად. ლექტორები წელიწადში ერთხელ ამზადებენ სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშს, რომელსაც ეცნობა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აცნობს შემდეგ შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, როგორც სამეცნიერო ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსაც აქვთ ფინანსური მხარდაჭერა. როგორც მათ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, უსდ სრულად აფინანსებს მივლინებებს სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, წიგნების გამოცემას, სტატიების განთავსებას საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. თუმცა პანდემიიდან გამომდინარე აღნიშნული ტიპის აქტივობებმა გადაინაცვლა ონლაინ რეჟიმში. უსდ-ს ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ მიღებული შეფასების საფუძველზე ხდება პერსონალის ფინანსური წახალისება პრემიით ან ბონუსით. თუმცა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს, კარგი შეფასების მქონე პერსონალის წახალისების ფაქტები არ იყო აღნიშნული და გაზიარებული აკრედიტაციის ჯგუფთან. ფაკულტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესაბამისი მიმართულებით თანხა არ არის გამოყოფილი. აღსანიშნავია რომ უსდ-ს აქვს მემორანდუმები უცხოურ უნივერისტეტებთან, რომლის საფუძველზეც აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ კვლევით პროექტებსა და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში, რისი ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება უნივერსიტეტის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის No133/ნ ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება"– http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php ● ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება, https://gtu.ge/bef/pdf/Debuleba/Debuleba_02.04.18.pdf ● "სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი"- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის N450/დადგენილება; http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf ● აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი; ● ვებ-გვერდი: პროფესიული განვითარების ცენტრი; http://hpep.ge/ge/ ● უსდ-ს ბიუჯეტი;

- ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ სემესტრულად ატარებს სტუდენთა კმაყოფილების გამოკითხვას, ისინი აფასებენ ლექტორებს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომელსაც ადმინისტრაცია განიხილავს და საჭიროებისამებრ ხდება პერსონალთან უკუკავშირი. აღსანიშნავია, რომ

გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი. როგორც ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, ზოგჯერ ეზარებათ ფორმის შევსება და თავს არიდებენ ამ პროცესს.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე, უნივერსიტეტი იყენებდა კოლეგიალური დასწრების მეთოდს ლექტორების საქმიანობის შესაფასებლად. შეფასებას განიხილავდა ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ლექტორებს აძლევდა საშუალებას უნივერსიტეტში არსებულ პერსონალის განვითარების ცენტრში შესაბამისად ჩართულიყვნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება შედგა ონლაინ. პროგრამა უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიებით, სტუდენტების საერთო სამუშაო სივრცით, პერსონალის სამუშაო სივრცით, ფაკულტეტის ბიბლითოთეკითა და უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკით. პერსონალისთვის არის ცალკე სამუშაო სივრცე მოწყობილი, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე ავეჯით.

შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სავალდებულო ლიტერატურას ფლობს ბიბლიოთეკა, როგორც ფიზიკური წიგნების სახით ასევე ელექტრონულ ფორმატში.

სწავლების ადმინისტრირების პროცესში გამოიყენება ელექტორნული პლატფორმა, სადაც განთავსებულია საგნების სილაბუსები, სხვადასხა ტიპის ელექტრონული სასწავლო მასალები.

ბიბლიოთეკა მდიდარია როგორც წიგნადი ფონდით ასევე სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე; Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე-სამეცნიერო ბაზებზე: Science Direct და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing–journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. სტუ, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის", რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციუმში მონაწილეობით სტუ-ს მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier. აღსანიშნავია, რომ მომავალში დაგეგმილია ბაზების გაფართოება.

ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია წიგნადი ფონდის კატალოგი და ნებისმიერ სტუდენტს საშუალება აქვს მოიძიოს მისთვის საინტერესო წიგნი და შემდგომ ესტუმროს ბიბლიოთეკას ან მოითხოვოს ონლაინ ვერსია.

სტუდენტებთან იტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი ნაკლებად არიან ინფორმიერებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ და ნაკლებად იყენებ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს; შესაბამისად რეკომენდირებულია ელ-სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა, და გამოყენების წახალისება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან;
- სტუ-ს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა; ბიბლიოთეკის კატალოგი: http://opac.gtu.ge/;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან.

რეკომენდაციები:

➢ რეკომენდირებულია ელ-სამეცნიერო ბაზების რესურსების შესახებ სტუდენტების ინფორმირების ამაღლების ხელშეწყობა, და გამოყენების წახალისება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები ასახულია, როგორც ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის, ისე ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში.

უსდ-მ წარმოადგინა როგორც პროგრამის ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის შემოსავლები და მის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ხარჯები. პროგრამის შემოსავლის მთავარი წყარო არის სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. სწავლების პროცესთან დაკავშირებული ხარჯები დეტალურადაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში სამცნიერო ხარჯების გრაფა ცარიელია, რაზეც ადმიანისტრაციამ აკრედიტაციის ჯგუფს განუცხადა, რომ პანდემიიდან გამომდინარე ფიზიკური მივლინებები არ ხდება და ეს პროცესში სრულად ონლაინშია გადატანილი და აქედან გამომდინარე მოხდა ბიუჯეტის კორექტირებაც, თუმცა თუ საჭირო და აუცილებელია სამეცნიერო საქმიანობის წახალისების ხარჯები უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ასევე აღინიშნა, რომ პროგრამა წლებია ხორცილედება და მის მდგრადობას საფრთხე არ შექმნია, მათ შორის პროგრამა ბოლო 2 წელი ავტორიზებულ რეჟიმში ხორცილედება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	●			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“-ის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა

წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში. როგორც სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ისე ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული „მრჩეველთა საბჭო“ ასრულებს. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში. ისინი იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში, აგრეთვე ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი; ● ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● შრომის ბაზრის კვლევა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კოლეგიალური შეფასების შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის ოქმები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. 2018 წლის 1 ოქტომბერი N76 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 მაისის სხდომის ოქმის (MES 1 20 00402716 N02) გადაწყვეტილების საფუძველზე და ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას. პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების და ასევე ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. ასევე პროგრამამ გაიარა შიდა „კოლეგიალური“ შეფასება, რომელიც წარმოადგენდა აკრედიტაციის პროცესის სიმულაციას. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2018 წლის 1 ოქტომბერი N76 საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 მაისის სხდომის ოქმი (MES 1 20 00402716 N02);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები;
- დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი).

ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა არსანიშნავია რომ პანდემიამდე, უნივერსიტეტი იყენებდა კოლეგიალური დასწრების მეთოდს ლექტორების საქმიანობის შესაფასებლად; ინტერვიუს დროს პროგრამის აკდემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა აღნიშნულ პროცესში ჩართულობის მზაობა.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები რომელიც ეფუძნება შესაბამისი გაუსის ცხრილების ელექტრონულ პლატფორმაზე ინტეგრაციას. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი

მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშებით. პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; ● სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ● აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშები; ● ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ● ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ● ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	●			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 55

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ილია ბოცვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

დავით სიხარულიძე

თორნიკე ხოშტარია

დავით ქარცივაძე

თამარ თავხელიძე